

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 30 აპრილის №504/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "NIKURA" რეგისტრაციას არ ექვემდებარება, რადგან მსგავსია კომპანია "NiGuRa Metzler Optics International GmbH"-ს (მის: Heesenstr. 70, 40549 Düsseldorf) სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა "NIGURA", რომელიც რეგისტრირებულია მე-9 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლისათვის (IR 393980; საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი: 15.12.1972; გავრცელების თარიღი: 21.05.2007წ.). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, რეგისტრირებული და სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით და აქვთ მსგავსი უღერადობა, მათ შორის განსხვავება მხოლოდ ერთი ასო ბგერაა, რომელიც არ ანიჭებს ნიშნებს განმასხვავებლობას და აღრევამდე მსგავსია. რის გამოც განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე განცხადებული საქონლის მე-9 კლასის ჩამონათვლის მიმართ.

აპელანტი კომპანია „ნიკაი გალფ ფზკო“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსნი, შესაბამისად, ზემოაღნიშნული სასაქონლო ნიშანი უნდა დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლისათვის. განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდებიან გრაფიკულად (ვიზუალურად). როგორც განცხადებული, ასევე, დაპირისპირებული ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასოებით, განცხადებული ნიშანი შესრულებულია მთავრული ასოებით, მაშინ, როცა დაპირისპირებულ ნიშანში პირველი, მესამე და მეხუთე ასოებია მთავრული, ხოლო მეორე, მეოთხე და მეექვსე ასოები - მცირე ზომის, რის გამოც ნიშნები მომხმარებლის მიერ აღიქმება სრულიად განსხვავებულად. ვიზუალურად განსხვავებულია დაპირისპირებული ნიშნების მესამე ასოებიც - თუ განცხადებულ ნიშანში იგი წარმოადგენს „K“ ასოს, დაპირისპირებულ ნიშანში ის არის ასო „G“, რაც, ასევე, აღრმავებს ვიზუალურ განსხვავებას და გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ. აპელანტის პოზიციით,

ნიშნებს შორის გრაფიკული განსხვავება აისახება ნიშნების ფონეტიკურ მახასიათებლებზეც. განცხადებული ნიშანი ქართულად გამოითქმის, როგორც „ნიკურა“, მაშინ, როცა დაპირისპირებული ნიშანი გამოითქმის, როგორც „ნიგურა“, შესაბამისად, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების ჟღერადობაც განსხვავებულია, რაც, ასევე, გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ. დაპირისპირებულ ნიშნებს არ გააჩნიათ სემანტიკური მნიშვნელობა. ნიშნების ზემოთ მოყვანილი გრაფიკულ და ფონეტიკურ ანალიზისას აშკარაა, რომ ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსი და, შესაბამისად, არ არსებობს მომხმარებლის მიერ მათი აღრევის შესაძლებლობა. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს იმ საქონლის მსგავსება, რომლისთვისაც განცხადებულია დაპირისპირებული ნიშნები. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ დაპირისპირებული ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი სხვადასხვაა ნიშნების იდენტურობის შემთხვევაშიც კი არ არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში საქპატენტის ექსპერტიზის ერთადერთ არგუმენტს საქონლის მსგავსებასთან დაკავშირებით წარმოადგენს ის გარემოება, რომ ორივე ნიშნის რეგისტრაცია მოთხოვნილია მე-9 კლასის საქონლისათვის. თუმცა, საქპატენტის ექსპერტიზა არ განმარტავს, კონკრეტულად რაში გამოხატება დაპირისპირებული ნიშნების საქონლის მსგავსება. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ორივე ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-9 კლასში შემავალი საქონლისათვის, არ არის საკმარისი საქონლის მსგავსების დასადგენად. საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულია, რომ ნიცის კლასიფიკაცია არ წარმოადგენს საქონლის მსგავსების დადგენის ინსტრუმენტს, არამედ მისი მიზანი მხოლოდ საქონლის კლასიფიკაციაა. ასევე, საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილია, რომ ნიცის კლასიფიკატორის ერთსა და იმავე კლასში საქონლის არსებობა, არ შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც მსგავსების დადგენის არგუმენტი. შესაბამისად, საქონლის მსგავსების დადგენა ექსპერტიზის მიერ უნდა მოხდეს საქონლის სახის, ხასიათის გათვალისწინებით და არა

ფორმალურად რომელიმე კლასისათვის მიკუთვნებით. აპელანტის განმარტებით, ექსპერტიზას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ დაპირისპირებული ნიშანი დაცულია მე-9 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვლისათვის: „Spectacles, spectacle frames, spectacle glasses, optical apparatus and their parts” (სათვალეები, სათვალის ჩარჩოები, სათვალის მინები, ოპტიკური ხელსაწყოები და მათი ნაწილები), ხოლო დაპირისპირებული ნიშნის NIKURA მფლობელი კომპანია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ითხოვს საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-9 კლასის საქონლის სრული ჩამონათვლისათვის, რომელიც გარდა სათვალეებისა, მისი ნაწილებისა, ოპტიკური ხელსაწყოებისა და მათი ნაწილებისა მოიცავს სხვადასხვა სრულიად განსხვავებულ სფეროებს მიკუთვნებულ საქონელს. განსხვავებულია, როგორც საქონლის სახე, ისე მათი პოტენციური კლიენტების ჯგუფები, გაყიდვის ადგილი და ფორმა და ა.შ. შესაბამისად, გაუგებარია, რის საფუძველზე მოხდა ექსპერტიზის ეტაპზე განცხადებული ნიშნის სრული საქონლის ჩამონათვლისა და დაპირისპირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალის მსგავსად მიჩნევა და დაპირისპირებული ნიშნის სპეციფიკური საქონლის ჩამონათვლის გამო ნიშნის “NIKURA” რეგისტრაციაზე უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანა ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული საქონლისათვის. აპელანტის პოზიციით, როგორც ცნობილია, თანამედროვე პრაქტიკა თუნდაც მსგავსი დაპირისპირებული ნიშნების შემთხვევაშიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განსხვავებას დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალს შორის. ამასვე ადასტურებს საქპატენტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები სასაქონლო ნიშნებთან „soliani” – “joliani” და „ROTT” – “ROTH” დაკავშირებით. აპელანტის განმარტებით, უკიდურეს შემთხვევაში, განმცხადებელი კომპანია თანახმაა, დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვლის მსგავსების აღმოსაფხვრელად შეზღუდოს მე-9 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალი, კერძოდ, ამოიღოს ჩამონათვლიდან შემდეგი საქონელი: „აპერტომეტრები [ოპტიკა]; ბინოკლები; კონტაქტური ლინზები; კონტაქტური ლინზების ბუდეები; კორექციის ლინზები [ოპტიკა]; პენსნეს ბუდეები; პენსნეს ძეწკვები; პენსნეს ზონრები; პენსნეს ჩარჩოები; პენსნეები; სპორტული სათვალეები; ბლენდები [ოპტიკური შუქდამცავები]; ლუპები [ოპტიკა];

მიკრომეტრული ხრახნები ოპტიკური ხელსაწყოებისათვის; ოპტიკური ამრეკლავები; ობიექტივები [ლინზები], [ოპტიკა]; ოპტიკური ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ნიშნების ამომკითხავი ოპტიკური მოწყობილობები; ოპტიკური კონდენსორები; ოპტიკური მინები; ოპტიკური ნაწარმი; ოპტიკური ფარნები; ოპტიკური ლინზები; კარის ოპტიკური საჭვრეტელები; პრიზმები [ოპტიკური]; ცეცხლსასროლი იარაღის ოპტიკური სამიზნეები; სათვალის ბუდეები; სათვალის ჩარჩოები; სათვალის მინები; სათვალეები [ოპტიკა]; ოპტიკური ნიველირები”. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 30 აპრილის №504/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „NIKURA” (საიდ. №73262/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-9 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-9 კლასი) და აღნიშნული სასაქონლო ნიშნის დარეგისტრირებას საქართველოში ასევე, მე-9 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგიის აზრით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი „NIKURA” (საიდ. №73262/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი "NIGURA" (IR 393980) მსგავსია ვიზუალური და ფონეტიკური თვალსაზრისით, მაგრამ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობის აუცილებელ წინაპირობას, ვიზუალურ, ფონეტიკურ და სემანტიკურ მსგავსებასთან ერთად, წარმოადგენს ნიშნების იმ საქონლის მსგავსება, რომლისთვისაც განცხადებულია სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი და დაპირისპირებული

სასაქონლო ნიშნები. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-9 კლასის შემდეგი საქონლის მიმართ: „სათვალეები, სათვალის ჩარჩოები, სათვალის მინები, ოპტიკური ხელსაწყოები და მათი ნაწილები“, ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-9 კლასის სრული ჩამონათვლისათვის, რომელიც დაკავშირებულია ელექტროობასთან, მიკროსკოპიასთან, კაბელებთან, სადენებთან, საზომ ინსტრუმენტებთან, პორტატულ კომპიუტერებთან, სმარტ-ბარათებთან და ა.შ.

ამდენად, კოლეგიას მიაჩნია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ჩამონათვლის მსგავსების აღმოსაფხვრელად უნდა მოხდეს საქონლის შეზღუდვა და განცხადებული სასაქონლო ნიშნის „NIKURA“ (საიდ. №73262/03) მე-9 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალიდან ამოღებული უნდა იქნას შემდეგი საქონელი: „აპერტომეტრები (ოპტიკა), შუქურები, მნათი; ბინოკლები; მოციმციმე შუქსასიგნალო აპარატები; შუქპირგადასაღები მანქანები; ვიდეოკამერები, ფოტოაპარატები, ფოტოფირფიტის კასეტები; ბუდეები ფოტოაპარატისა და ფოტოსაკუთნოსათვის; დიპოზიტივის დაცენტრების ხელსაწყოები; კინოკამერები; კონტაქტური ლინზები, კონტაქტური ლინზების ბუდეები; მიკროსკოპის სასაგნე მინის ბუდეები; კორექციის ლინზები (ოპტიკა); ოვოსკოპები; გამადიდებელი ხელსაწყოები (ფოტოგრაფია); პენსნეს ბუდეები; პენსნეს ძეწკვები, პენსნეს ზონრები; პენსნეს ჩარჩოები; პენსეები, ოკულარიანი ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ულტრაიისფერი სხივების ფილტრები (ფოტოგრაფია); ფილტრები (ფოტოგრაფია); იმპულსური ნათურები (ფოტოგრაფია); მოციმციმე შუქსასიგნალო აპარატები; შუქფეთქის ნათურები (ფოტოგრაფია); სპორტული სათვალეები; ბლენდები (ოპტიკური შუქდამცავები); ასტროფოტოგრაფიის ობიექტივები; ლუპები (ოპტიკა); მიკრომეტრული ხრახნები ოპტიკური ხელსაწყოებისათვის; ოპტიკური ამრეკლავები; ობიექტივები (ლინზები), (ოპტიკა); ოპტიკური ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ნიშნების ამომკითხავი ოპტიკური მოწყობილობები; ოპტიკური კონდენსორები; ინფორმაციის ოპტიკური მატარებლები; ოპტიკური დისკები; ოპტიკურ-ბოჭკოვანი შუქგამტარები; ოპტიკური მინები; ოპტიკური ნაწარმი; ოპტიკური ფარნები; ოპტიკური ლინზები; კარის ოპტიკური საჭვრეტელები; პენსეები; პენსნეს ბუდეები; პენსნეს ძეწკვები; პენსნეს ზონრები; პენსნეს ჩარჩოები; პრიზმები (ოპტიკური);

ცეცხლსასროლი იარაღის ოპტიკური სამიზნეები; სათვალის ბუდეები, სათვალის ჩარჩოები; სათვალის მინები; სათვალეები (ოპტიკა); მზის სათვალეები; ოპტიკური ნიველირები; ტელესკოპები; საქსოვი ლუპები; სინათლის გამოსხივების დიოდები (LED)“.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული სახით, მე-9 კლასის საქონლის შეზღუდვის პირობებში, აღარ იარსებებს სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აღარ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „NIKURA“ (საიდ. №73262/03) მე-9 კლასის შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანია „ნიკაი გალფ ფზკო“-ს (Nikai Gulf FZCO) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 30 აპრილის №504/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „NIKURA“ (საიდ. №73262/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-9 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
3. სასაქონლო ნიშანი „NIKURA“ (საიდ. №73262/03) დარეგისტრირდეს მე-9 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „საანგარიშოები; აკუმულატორის კორპუსები; აკუმულატორის ქილები; აკუმულატორები,

ელექტრული; ელექტროაკუმულატორები სატრანსპორტო საშუალებებისათვის; არემეტრები მუავასათვის [აციდომეტრები]; აციდომეტრები აკუმულატორული ბატარეისათვის; ბგერათგამტარები; კავშირის აკუსტიკური მოწყობილობები; აკუსტიკური [ხმოვანი] სასიგნალო მოწყობილობები; აქტინომეტრები; არითმომეტრები; ანტენები; აერომეტრები; უბის წიგნაკები, ელექტრონული; ჰაერის შედგენილობის ანალიზის აპარატები; სასიგნალო ზარები, ელექტრული; სასიგნალო მოწყობილობები; სპირტსაზომები; ალიდადები; ალტიმეტრები; ამპერმეტრები; ხმის გამაძლიერებლები; გამაძლიერებელი ელექტრონული მილაკები; გამაძლიერებელი ელექტრონული მილაკები; ანემომეტრები; მულტიპლიკაციური ფილმები; ანოდის ბატარეები; ანოდები; ავტომოპასუხეები; ანტენები; ანტიკათოდები; შუქდამცავი წინაფრები; შუქდამცავი მინები; შუქდამცავი წინაფრები; დაბრკოლებამდეგი მოწყობილობები [ელექტრობა]; გაქურდვის საწინააღმდეგო სასიგნალო მოწყობილობები [დამცავი სიგნალიზაცია; ღუზები [ელექტრობა]; აზბესტის ქსოვილის ტანსაცმელი ხანძრისაგან დასაცავად; აზბესტის ქსოვილის ხელთათმანები ხანძრისაგან დასაცავად; მეხანძრის დამცავი აზბესტის კერანები; ასტრონომიული ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; სასწავლო აუდიოვიზუალური აპარატურა; ბანკომატები; კუთხსაზომი ინსტრუმენტები; ცალსასწორები; ბალანსირების მოწყობილობები; შტრიხ-კოდის ამომკითხველი მოწყობილობები; ბარომეტრები; ბატარეები, ელექტრული; ელექტროაკუმულატორები სატრანსპორტო საშუალებებისათვის; ანთების სისტემის ბატარეები; ჯიბის ფარნის ბატარეები; აკუმულატორის კორპუსები; ამამაღლებელი ტრანსფორმატორები; აკუმულატორის ქილები; ზარები [განგაშის სიგნალიზაციის მოწყობილობები]; ბეტატრონები; ორთქლის ქვაბის საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოები; განმაშტოებელი კოლოფები [ელექტრობა]; სასუნთქი აპარატები, ხელოვნური სუნთქვის აპარატების გარდა; სასუნთქი აპარატები წყალქვეშა ცურვისათვის; ტყვიაგაუმტარი ჟილეტები; ზუმერები; კორპუსები ხმამაღლამოლაპარაკისათვის; კაბელები, ელექტრული; საანგარიშო დისკები; კალკულატორები; საკალიბრე რგოლები; კალიბრები; კონდენსატორები; კაპილარული მილები; მეტრები ხუროსათვის; ინსტრუმენტების ნაკრები საანალიზო ნიმუშის მოსამზადებლად

[მიკროსკოპია]; საღაროს აპარატები; კასეტის ფლეიერები; კათოდები; კათოდური მოწყობილობები კოროზიისაგან დასაცავად; რელექტორები [ელექტრობა]; ცენტრალური ბლოკები ინფორმაციის დასამუშავებლად [პროცესორები]; სამუხტავი მოწყობილობები ელექტროაკუმულატორისათვის; ქიმიური ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ჩიპები [ინტეგრალური სქემები]; ინდუქციის კოჭები [გრაფილები]; ქრომატოგრაფები, ლაბორატორიული; ქრონოგრაფები [დროის ჩამწერი მოწყობილობები]; კინოფირების დასამონტაჟებელი ხელსაწყოები და სამარჯვები; კინოფირები, ექსპონირებული; მცველები; ელექტროწრედის ჩამრთველები; აკუსტიკური დისკის გასაწმენდი სამარჯვები; ქანობსაზომები; სპეცტანსაცმელი, ლაბორატორიული; ტანსაცმელი უბედური შემთხვევის, გამოსხივებისა და ხანძრისაგან დასაცავად; ხანძრისაგან დამცავი ტანსაცმელი; კოაქსიალური კაბალები; კოჭები, ელექტრული; ელექტრომაგნიტური კოჭები; ელექტრული კოჭას კარკასები; მექანიზმები ავტომატებისათვის წინასწარი გადახდით; მექანიზმები ტელევიზორისათვის წინასწარი გადახდით; კოლექტორები, ელექტრული; კომუტაციის ელექტრული აპარატები; კომუტატორები; კომპაქტ-დისკის ფლეიერები; კომპაქტ-დისკები [აუდიო-ვიდეო]; კომპაქტ-დისკები [მუდმივი დამმასხოვრებელი მოწყობილობა]; კომპარატორები; ბუსოლები; ფარგლები [გამზომი ინსტრუმენტები]; კომპიუტერული თამაშების პროგრამული უზრუნველყოფა; კომპიუტერის კლავიატურები; კომპიუტერის მესხიერების ბლოკები; კომპიუტერის ოპერაციული პროგრამები, ჩაწერილი; კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობა; კომპიუტერული პროგრამები, ჩაწერილი; კომპიუტერული პროგრამები [ჩასატვირთი პროგრამული უზრუნველყოფა]; კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა, ჩაწერილი; კომპიუტერები; კონდენსატორები; გამტარები, ელექტრული; შეერთებები, ელექტრული; შეერთებები ელექტროსახებისათვის; საზური შემაერთებელი კოლოფები [ელექტრობა]; კონტაქტები, ელექტრული; მართვის პულტები, ელექტრული; კონვერტერები, გარდამქმნელები, ელექტრული; სპილენძის სადენი, იზოლირებული; კოსმოგრაფიის ხელსაწყოები; ყალბი მონეტის დეტექტორები; მრიცხველები; კომუტაციის მოწყობილობები [მონაცემების დასამუშავებელი მოწყობილობები]; შეერთებები, ელექტრული; დამცავი

სახურავები შტეფსელის როზეტებისათვის; ტიგელები [ლაბორატორიული]; ტიგელები [ლაბორატორიული]; დენის გამმართველები; ციკლოტრონები; ფოტოლაბორატორიის ლამპები; ფოტოლაბორატორიები; მონაცემთა დასამუშავებელი მოწყობილობები; დეკომპრესიის კამერები; მაგნიტური ლენტის განმაგნიტების მოწყობილობები; დენსიმეტრები; დენსიტომეტრები; დეტექტორები; დიაგნოსტიკის აპარატურა, არასამედიცინო; მემბრანები, აკუსტიკური; მემბრანები სამეცნიერო აპარატურისათვის; დიაფრაგმები [ფოტოგრაფია]; დიქტოფონები; დიფრაქციული აპარატები [მიკროსკოპია]; აირგანმუხტვის ელექტრული მილაკები, განათებისას გამოსაყენებლის გარდა; დისკამპრავები კომპიუტერისათვის; დისკები, მაგნიტური; მანძილსაზომი ხელსაწყოები; მანძილჩამწერი ხელსაწყოები; დისტილაციის აპარატები სამეცნიერო მიზნებისათვის; გამანაწილებელი დაფები [ელექტრობა]; გამანაწილებელი კოლოფები [ელექტრობა]; გამანაწილებელი პულტები [ელექტრობა]; მყვინთავის ნიღბები; სკაფანდრები მყვინთავებისათვის; DNA ჩიპები; სასტვენის ძაღლებისათვის ბრძანების მისაცემად; დოზატორები; საშრობი მოწყობილობები ფოტოგრაფიისათვის; მეტრები თერძისათვის; ფოტოსურათების საშრობი მოწყობილობები; საშრობი ქვესადგამები [ფოტოგრაფია]; გაყვანილობა [ელექტრობა]; DVD-პლეიერები; დინამომეტრები; საყვინთი ყურთსაცობები; კინოფირების დასამონტაჟებელი ხელსაწყოები და სამარჯვები; კვერცხის მოსახარში ტაიმერები [ქვიშის საათები]; ელექტროზარები კარისათვის; სამრეწველო პროცესების დისტანციური მართვის ელექტრული დანადგარები; დენის კარგვის ელექტრული ინდიკატორები; მაგისტრალური ელექტროსაზები; ელექტროგადამცემი ხაზის მასალები [სადენები, კაბელები]; ელექტრიფიცირებული ღობეები; ელექტრიფიცირებული საღტეები სინათლის წერტილოვანი წყაროს დასამონტაჟებლად; სარკინიგზო ისრების დისტანციური მართვის ელექტროდინამიკური აპარატურა; სიგნალის დისტანციური მართვის ელექტროდინამიკური აპარატურა; ელექტროლიზის აბაზანები; ელექტრომაგნიტური კოჭები; განცხადებების ელექტრონული დაფები; ელექტრონული ფანქრები [თვალსაჩინო დემონსტრირების საშუალება]; ჯიბის ელექტრონული მთარგმნელები; ელექტრონული პუბლიკაციები, ჩატვირთვადი;

ელექტრონული ეტიკეტი საქონლისათვის; გალვანოპლასტიკის მოწყობილობა; ლიფტის მართვის მოწყობილობა; მაგნიტურკოდის ბარათები; მაგნიტურკოდის საიდენტიფიკაციო სამაჯურები; ერგომეტრები; ექსპონომეტრები [განათების მზომები]; ცეცხლმქრობები; ფაქსიმილეს აპარატები; ყალბი მონეტის დეტექტორები; ფერმენტაციის აპარატები [ლაბორატორიული]; ფირსაჭრელი აპარატები; ფირები, ექსპონირებული; ფილტრები რესპირატორებისათვის; ხანძრის სიგნალიზატორები; ხანძრის ჩასაქრობი საბეგნელები; ხანძარსაწინააღმდეგო დამცავი შალითები; სახანძრო გემები; სახანძრო ტუმბოები; სახანძრო კიბეები; ცეცხლმქრობები; ბრანდსპოიტები; ფლოპი-დისკები; ფლუორესცენციური ეკრანები; ნისლში გამოსაყენებელი სასიგნალო მოწყობილობები, არაფეთქებადი; საკვების ანალიზის ხელსაწყოები; დიაპოზიტის ჩარჩოები; დაფრანკის კონტროლის აპარატები; სიხშირის საზომები; ლაბორატორიული ღუმელები; ლაბორატორიული აღჭურვილობა, სპეციალური; დნობადი მავთულები; დნობადი მცველები; გალენიტის დეტექტორები; გალვანური ბატარეები; გალვანური ელემენტები; მოთუთიების მოწყობილობები; გალვანომეტრები; აირის ანალიზატორები; ბენზინის დონის მაჩვენებლები; გაზომეტრები; საზომები; მინები დენგამტარი საფარი; მინის გრადუირებული ჭურჭელი; ფოტოსურათების გასაპრიალებელი მოწყობილობები; ხელთათმანები მყვინთაგებისათვის; დამცავი ხელთათმანები; რენტგენის სხივებისაგან დამცავი ხელთათმანები სამრეწველო მიზნებისათვის; ქანობსაზომები; ცხურები ელექტროაკუმულატორის ფირფიტებისათვის; ხელის გარეშე სასაუბრო კომპლექტები ტელეფონისათვის; ამომკითხავი თავაკების გასაწმენდი ლენტები; საყურისები; თბორეგულირების მოწყობილობები; ჰელიოგრაფები; შემოსაკეცი მარკერები; ანოდის ბატარეები; მაღალსიხშირული აპარატურა; ელექტრული კოჭას კარკასები; ჰოლოგრაფები; რუპორები ხმამაღლამოლაპარაკებისათვის; ჰიდრომეტრები; ჰიგრომეტრები; საიდენტიფიკაციო გარსები ელექტროგამტარებისათვის; საიდენტიფიკაციო ძარღვები ელექტროგამტარებისათვის; საიდენტიფიკაციო მაგნიტური ბარათები; დისტანციური ანთების ელექტროაპარატები; ინკუბატორები ბაქტერიული კულტურებისათვის; ინდიკატორები [ელექტრობა]; ინდუქტორები

[ელექტრობა]; მესხიერების ბარათები მიკროპროცესორით [სმარტ-ბარათები]; ინტეგრალური სქემები; სალაპარაკო აპარატები; ინტერფეისები კომპიუტერებისათვის; ინვერტორები [ელექტრობა]; ანგარიშის გამოსაწერი მოწყობილობა; იონიზაციის აპარატები, ჰაერის დამუშავების აპარატების გარდა; გაბარიტები [საზომი ინსტრუმენტები]; დისკამპრავები დისკების ავტომატური ცვლით კომპიუტერისათვის; მუსიკალური ავტომატები წინასწარი გადახდით; შემაერთებელი კოლოფები [ელექტრობა]; ელექტროკაბელის შემაერთებელი ქუროები; განვლილი მანძილის აღმრიცხველები სატრანსპორტო საშუალებებისათვის; სამუხლეები მუშისათვის; ლაბორატორიული ქვეშები; ლაქტოდენსიმეტრები; ლაქტომეტრები; ლეპტოპები [პორტატიული კომპიუტერები]; ლაზერები, არასამედიცინო; ტყავის სისქის გასაზომი ხელსაწყოები; წერილის სასწორები; ნიველირების ინსტრუმენტები; სარყეები [გეოდეზიური ინსტრუმენტები]; თარაზოები; სამაშველო ქამრები; სამაშველო ბაკენები; სამაშველო ჟილეტები; სამაშველო ბადეები; სამაშველო მოწყობილობა და აღჭურვილობა; სამაშველო ტივები; განათების რეგულატორები, ელექტრული; სინათლის გამოსხივების ელექტრონული მაჩვენებლები; განათების სისტემის ბალასტური წინაღობები; მესამრიდები; შემზღუდველები [ელექტრობა]; საკეტები, ელექტრული; ლაგები [გამზომი ინსტრუმენტები]; ხმამაღლამოლაპარაკეები; “ჯადოსნური” ფარნები; ინფორმაციის მაგნიტური მატარებლები; მაგნიტური კოდირების მოწყობილობები; მაგნიტური ლენტის ბლოკები კომპიუტერისათვის; მაგნიტური ლენტები; მაგნიტური სადენები; მაგნიტები; დეკორატიული მაგნიტები; მანომეტრები; საზღვაო კომპასები; ექოლოტები; მაჩვენებელი ბაკენები; რაისმუსები [სადურგლო]; რადიოანძები; მასალათა გამოცდის მანქანები და ხელსაწყოები; მათემატიკური ინსტრუმენტები; საზომები; გამზომი ხელსაწყოები; გამზომი ხელსაწყოები, ელექტრული; გამზომი ინსტრუმენტები; საწყო კოვზები; მექანიკური ფარნიშნები; მეგაფონები; ვერცხლისწყლიანი თარაზოები; ლითონის დეტექტორები სამრეწველო ან სამხედრო მიზნებისათვის; მეტეოროლოგიური ზონდები; მეტეოროლოგიური ხელსაწყოები; მრიცხველები; მეტრონომები; მიკრომეტრები; მიკრომეტრები; მიკროფონები; მიკროპროცესორები; მიკროსკოპები; მიკროტომები; განვლილი

მანძილის აღმრიცხველები სატრანსპორტო საშუალებებისათვის; სარკეები დათვალიერებითი სამუშაოებისათვის; მოდემები; ფულის დასათვლელი და დასახარისხებელი მანქანები; დამზერისა და კონტროლის აპარატები, ელექტრული; მონიტორები [კომპიუტერის აპარატული უზრუნველყოფა]; მონიტორები [კომპიუტერული პროგრამები]; “თაგვი“-ს ტიპის მანიპულატორები; “თაგვი“-ს ქვესადებები; მუსიკალური ავტომატები წინასწარი გადახდით; ნავიგაციის ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; საზღვაო სასიგნალო ხელსაწყოები; ნავიგაციის ხელსაწყოები სატრანსპორტო საშუალებებისათვის [ბორტის კომპიუტერები]; ნავიგაციის ინსტრუმენტები; ნემსები ფირსაკრავებისათვის; ნეონის ნიშნები; ავარიისაგან დამცავი ბადეები; ცხვირის მომჭერები მყვინთავისა და მოცურავისათვის; ნოუთბუკები [პორტატული კომპიუტერები]; თვალთვალის ხელსაწყოები; ოქტანტები; ომმეტრები; ოსცილოგრაფები; ჟანგბადის გადასასხმელი [გადამშვები] მოწყობილობები; ოზონატორები; დროის აღმრიცხველები ფასიანი ავტოსადგომისათვის; ნაწილაკების ამჩქარებლები; ბიჯსაზომები, პედომეტრები; პერისკოპები; პერსონალური სტერეომიმღებები; ხმის ჩასაწერი დისკები; ფოტოკოპირების მოწყობილობები [ფოტოგრაფიული, ელექტროსტატიკური, თბური]; ფოტომეტრები; ფოტოტელეგრაფული აპარატები; ფოტოელემენტები ჩამკეტი ფენით; ფიზიკური ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; პიპეტები; პლანშეტები [გეოდეზიური ინსტრუმენტები]; პლანიმეტრები; აკუმულატორის ფირფიტები; მრუდჩამწერები; როზეტები, შტეფსელის ჩანგლები, [ელექტრული შეერთებები]; შვეულას ტყვის ტვირთები; შვეულები; ჯიბის კალკულატორები; პოლარიმეტრები; გადასატანი ტელეფონები; საფოსტო მარკების აღმრიცხველები; პრეციზიული სასწორები; პრეციზიული გამზომი ხელსაწყოები; მანომეტრები; ავტომობილის სალტეში დაბალი წნევის ავტომატური მაჩვენებლები; წნევის მაჩვენებელ-საცობები სარქველებისათვის; წნევის ინდიკატორები; წნევის გასაზომი აპარატები; ნაბეჭდი სქემები; კომპიუტერის პრინტერები; ზონდები სამეცნიერო კვლევისათვის; პროცესორები [ინფორმაციის დასამუშავებელი ცენტრალური ბლოკები]; საპროექციო აპარატები; საპროექციო ეკრანები; რენტგენის გამოსხივებისაგან დამცავი მოწყობილობები, არასამედიცინო;

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ავარიის დროს გამოსაყენებლად; დამცავი ჩაფხუტები, მუზარადები; სპორტსმენების დამცავი ჩაფხუტები, მუზარადები; დამცავი ნიღბები; მფრინავის დამცავი კომბინეზონები; ტრანსპორტირები [გამზომი ინსტრუმენტები]; პერფორირებული მუხრანები ადჭურვილობა ოფისისათვის; ზარის დილაკები; პირომეტრები; რაოდენობის მაჩვენებლები; საშრობი მოწყობილობები ფოტოგრაფიისათვის; რადარები; პეიჯერები; რენტგენის აპარატები სამრეწველო მიზნებისათვის; რენტგენის აპარატის ეკრანები სამრეწველო მიზნებისათვის; რადიოხელსაწყოები; რადიოსატელეგრაფო სადგურები; რადიოსატელეფონო სადგურები; უსაფრთხოების მოწყობილობები სარკინიგზო ტრანსპორტისათვის; მანძილსაზომები; ამომკითხავი მოწყობილობები [ინფორმაციის დასამუშავებელი მოწყობილობა]; აუდიო და ვიდეო მიმღებები; ფირსაკრავის ნემსის გამოსაცვლელი სამარჯვები; ფირსაკრავები; რედუქტორები [ელექტრობა]; სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან ასაცილებელი შუქამრეკლი რგოლები ტანსაცმელზე დასამაგრებლად; რეფრაქტომეტრები; რეფრაქტორები; მარეგულირებელი ხელსაწყოები, ელექტრული; რეღები, ელექტრული; დისტანციური მართვის აპარატურა; წინაღობები, ელექტრული; რესპირატორები ჰაერის გასაფილტრად; რესპირატორები, ხელოვნური სუნთქვისათვის განკუთვნილის გარდა; მაშველების სავარჯიშო მანეკენები [სასწავლო ხელსაწყოები]; რეტორტები; რეტორტის დამჭერები; ბრუნთა რიცხვის მთვლელები; რეოსტატები; ცხენოსანთა ჩაფხუტები; საგზაო ნიშნები, მნათი ან მექანიკური; “ჯადოსნური” ლერწები მიწისქვეშა წყაროების ადგილმდებარეობის დასადგენად; სარყები [გეოდეზიური ინსტრუმენტი]; სახაზავები [გამზომი ინსტრუმენტები]; მეტრები [გამზომი ინსტრუმენტები]; საქარიმეტრები; სამაშველო ბადეები; უსაფრთხოების ღვედები, სატრანსპორტო საშუალებების სავარძლებისა და სპორტული ადჭურვილობის ღვედების გარდა; სამაშველო ბრეზენტი; არემეტრები მარილიანი ხსნარისათვის; ნავიგაციის სატელიტური ხელსაწყოები სატელიტები სამეცნიერო კვლევისათვის; სასწორები; სკანერები [ინფორმაციის დასამუშავებელი მოწყობილობა]; რასტრები ფოტოტიპისათვის; ეკრანები [ფოტოგრაფია]; კუთხვილის კალიბრები; ნახევარგამტარები; სექსტანტები;

გარსები ელექტრული კაბელისათვის; ფესსაცმელი უბედური შემთხვევის, გამოსხივებისა და ცეცხლისაგან დასაცავად; ფოტოსაკეტის გამშვები მოწყობილობები [ფოტოგრაფია]; ფოტოსაკეტები; სასიგნალო ზარები; სასიგნალო ფარნები; სასიგნალო ბაკენები; სასიგნალო პანელები, მნათი ან მექანიკური; სასიგნალო სასტვენები; სიგნალები, მნათი ან მექანიკური; მნათი ნიშნები; იმიტატორები სატრანსპორტო საშუალებების მართვისა და შემოწმებისათვის; სირენები; ტყავის სისქის გამზომი აპარატები; გასაშლელი კალიბრები; დიასკოპები; ლოგარითმული სახაზავები; დიაპოზიტივები [ფოტოგრაფია]; სმარტ-ბარათები [მეხსიერების ბარათები მიკროპროცესორით]; კვამლის დეტექტორები; შტეფსელის ჩანგლები, როზეტები [ელექტრული შეერთებები]; წინდები ელექტროგათბობით; მზის ბატარეები; შემდუღებლის ნიღბები; სოლენოიდური სარქველები [ელექტრომაგნიტური გადამრთველები]; სონარები; ხმოვანი სასიგნალო მოწყობილობები; სონომეტრები; ხმის ჩამწერი აპარატურა; ხმის ჩანაწერის მატარებლები; ხმის ჩასაწერი დისკები; ხმის ჩასაწერი ლენტები; ხმის აღმწარმოებელი აპარატები; ხმის გადამცემი აპარატები; ზონდირების აპარატები და მანქანები; საძირავეები ლოტებისა და ზონდებისათვის; ლოტის ზონრები; ნაპერწკალსაქრობები; მეგაფონები; სპექტროგრაფები; სპექტროსკოპები; სიჩქარის კონტროლის ხელსაწყოები სატრანსპორტო საშუალებებისათვის; სპიდომეტრები; ფოტოგრაფირების სისწრაფის საზომი ხელსაწყოები; ფირსაკრავის ბრუნთა რიცხვის რეგულატორები; სფერომეტრები; სპირტიანი თარაზოები; კოჭები [ფოტოგრაფია]; გამშხეფი სახანძრო სისტემები; სცენის განათების რეგულატორები; საფოსტო მარკებით გადახდის კონტროლის აპარატები; ფოტოაპარატის შტატივები; გამშვები ტროსები ძრავასათვის; ცალსასწორები; მართვის მოწყობილობები სატრანსპორტო საშუალებებისათვის, ავტომატური; სტერეოსკოპები; სტერეოსკოპული აპარატები; გამოსახდელი აპარატები ლაბორატორიისათვის; ხმის ჩასაწერი ლენტები; ნემსები ფირსაკრავისათვის; სულფიტომეტრები; გეოდეზიური ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; საზომი ჯაჭვი; ტოპოგრაფიული ინსტრუმენტები; საკომუტაციო დაფები; გადართვის კოლოფები [ელექტრობა]; გადამრთველები, ელექტრული; ტაქომეტრები; მაგნიტურ ლენტზე ჩამწერი მოწყობილობა [ხმის, გამოსახულების,

ინფორმაციის; ტექსომეტრები; სასწავლო ხელსაწყოები; კბილების დამცავები [კაპა]; სატელეგრაფო სადენები; ტელეგრაფის აპარატები; მანძილსაზომები; ტელეფონის აპარატები; ტელეფონის ყურმილები; სატელეფონო გადამცემები; სატელეფონო სადენები; ტელეტაიპები; ტელემოკარნახე; დისტანციური მწვევტარები; ტელეტაიპები; ტელევიზორები; ტემპერატურის ინდიკატორები; კიდურა ქუროები [ელექტრობა]; სინჯარები; აპარატები ანალიზისათვის, არასამედიცინო; გაქურდვსაგან დამცავი ელექტრული მოწყობილობები; თეოდოლიტები; თერმოელექტრონული მილაკები; თერმოელექტრონული მილაკები; თერმომეტრები, არასამედიცინო; თერმოსტატები; თერმოსტატები სატრანსპორტო საშუალებებისათვის; ბილეთების გასაყიდი ავტომატები; სატაბელო დროის აღმრიცხველი საათები; დროის მარეგისტრირებელი ხელსაწყოები; დროის რეგეები, ავტომატური; ტონარმები ფირსაკრავებისათვის; ტოტალიზატორები; შუქნიშნები [სიგნალიზაციის მოწყობილობები]; ტრანსფორმატორები [ელექტრობა]; ტრანზისტორები [ელექტრონიკა]; ელექტრონული სიგნალის გადამცემები; გადამცემები [კავშირგაბმულობა]; დისტანციური რადიოგადამცემები [კავშირგაბმულობა]; დიაპოზიტეები [ფოტოგრაფია]; დიასკოპები; სამფეხები ფოტოაპარატისათვის; ურინომეტრები; ვაკუუმეტრები; ვაკუუმნათურები [რადიო]; ვარიომეტრები; გამაფრთხილებელი სამკუთხედები გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებებისათვის; სატრანსპორტო საშუალებების რადიომიმღებები; ნონიუსები; ვიდეოკასეტები; ვიდეოთამაშების კარტრიჯები; ვიდეოჩამწერი მოწყობილობა; ვიდეოეკრანები; ვიდეოტელეფონები; მაგნიტური ლენტები ვიდეოჩამწერისათვის; ხედმძებნები ფოტოაპარატისათვის; ვისკოზიმეტრები; ძაბვის რეგულატორები სატრანსპორტო საშუალებებისათვის; გადამეტაბვისაგან დამცავი რეგულატორები; ვოლტმეტრები; ხმის დამთვლელი მანქანები; პლატები ინტეგრალური სქემებისათვის; რაციები, პორტატიული; სარეცხი აბაზანები [ფოტოგრაფია]; წყლის დონის მაჩვენებლები; ტალღსაზომები; ხიდური, ბაქნიანი სასწორები; ამწონი ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ამწონი მოწყობილობები; საწონები; ქარის მიმართულების მაჩვენებლები; კლემები [ელექტრული]; სადენები, ელექტრული; ლითონის შენადნობის მავთულები [დნობადი მავთულები]; სახის დამცავი

ეკრანები მუშებისათვის; მაჯის საყრდენები კომპიუტერთან სამუშაოდ; რენტგენის ფირები, ექსპონირებული; რენტგენოგრამები, არასამედიცინო; რენტგენის გამოსხივების რეგენერაციის აპარატები და დანადგარები, არასამედიცინო; რენტგენის მილაკები, არასამედიცინო; ჩანთები ლექტორებისათვის; ფიჭური ტელეფონების ზონრები; მანეკენები ქრამტესტებისათვის; ციფრული ფოტოჩარჩოები; მუსიკალური ფაილები, ჩატვირთვადი; გამოსასულელების ფაილები, ჩატვირთვადი; მობილური ტელეფონის ზარების ფაილები, ჩატვირთვადი; სახანძრო შლანგები; სახანძრო პომპები; გლობალური პოზიციონირების სისტემის [GPS] აპარატები; ლაბორატორიული ცენტრიფუგები; პეტრის ფინჯანი; პიტოს მილაკი, პიტომეტრი; პორტატული მედიაპლეერები; ნაბეჭდი პლატები; ამამაღლებელი ტრანსფორმატორები; სტრობოსკოპები; ტემპერატურის მაჩვენებელი ეტიკეტები, არასამედიცინო; საგზაო კონუსები; ტრანსპონდერები [მიმღებ-გადამცემები]; ტრიოდები; ფლემ-მეხსიერება; VCD, DVD, MP3 პლეერები და ჩამწერები; CD პლეერები და ჩამწერები; მანქანის სტერეომიმღებები; აუდიო მოლაპარაკებები; კასეტური პლეერები და ჩამწერები; რადიომიმღებები; მანქანის რადიომიმღებები; აბაზანის სასწორები; ტელეფონები; ტელეფონები ნომრის ამომცნობით; ზემოჩამოთვლილი ნაწარმის საკუთნო, შეტანილი მე-9 კლასში”.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

გ. დუდუჩავა

ი.მულალაშვილი

